# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 44

„21" ნოემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

### ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3 მიკრორაიონის კორპუსი №30-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.024.009.01.526) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3 მიკრორაიონის კორპუსი №30-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.024.009.01.526) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის №25.1808.2035 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3 მიკრორაიონის კორპუსი №30-ში, მესამე სართულზე არსებული 45.72 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.18.13.024.009.01.526) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მარინე კალანდაძისთვის (პ/ნ. 01015004174) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მოსამართლე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აზაშიძე